უსაფრთხოების ზომები

• არ სეიტანოთ მოწყობილობაშ რაიმე მოდიფიკაცია. ეს მოწყობილობა არ შეიცავს მომხმარებლის მიერ შესაკეთებელ ნაწილებს.

• მოკლე ჩართვის თავიდან ასაცილებლად, არ დაუშვათ მოწყობილობის შეხება სითხეებთან და არ მოათავსოთ სითხეებით სავსე ღია კონტეინერები მასთან ახლოს.

• არ დაუშვათ მოწყობილობაზე ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედება.

• სმენის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენეთ ყურსასმენები უსაფრთხო ხმის დონეზე.

• ეს მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული გამოყენებისთვის.

• ეს მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვების ან შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, თუ მათ არ აკონტროლებს მათი უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებელი პირი.

• არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.

• არ გახსნათ ან შეაკეთოთ მოწყობილობა თავად. მომსახურებისა და შეკეთების მიზნით მიმართეთ კვალიფიციურ პერსონალს ავტორიზებულ სერვის ცენტრში.

• გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი დამტენი.

• დაიცავით ტემპერატურის დიაპაზონი. დამუხტული ელემენტები უნდა შეინახოთ 15°C-დან 35°C-მდე ტემპერატურაზე ნორმალური ტენიანობის პირობებში. ელემენტები არ იტანენ ხანგრძლივ გამოყენებას ძალიან მაღალ (40°C-ზე მეტი) ან ძალიან დაბალ (-10°C-ზე ნაკლები) გარემოს ტემპერატურაზე. არ დაუშვათ ელემენტის მზის პირდაპირი სხივების ქვეშ მოხვედრა.

• არ დაშალოთ, არ დაწვათ და არ გამოიყენოთ ელემენტი, რომელსაც დაზიანების ნიშნები აღენიშნება.